1
F660 N 5395

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლაღვარი

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი | სექტემბერი, 1982 წ. | ფასი 10 კაპ.

ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი ფესვებ-
ულ-ღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების
თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები
და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის.

ვ. ი. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი და საპასუხო ამოცანები

ელგუჯა ამაშუკელი,
საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის
გამგეობის თავმჯდომარე.

„პარტია მიესალმება საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მოქალაქეობრივ პათოსს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, ხელოვნების აქტიურ ჩარევას იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებითაც ჩვენი საზოგადოება სულდგმულობს". — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები, წარმოთქმული ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან, ხელოვანთა ღვაწლის მაღალი შეფასებაცაა და მომავლის საბრძოლო პროგრამაც.

დღეს, როდესაც მეცნიერებამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ შეუძლია ეჭვის ქვეშ დააყენოს ჩვენი პლანეტის არსებობაც კი, ხელოვნებას დაეკისრა ორმაგი მისია — ადამიანთა ზნეობრივი გაკეთილშობილების, ხალხთა შორის ურთიერთგაგების, დაახლოებისა და მეგობრობის მისია.

„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია"...
„ვინც მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"...

დიდი წინაპრის ეს სიტყვები ლაიტმოტივად გასდევდა ქართველი კაცის ცხოვრებას და შემოქმედებას, და თუ მას ღირსშესანიშნავი რამ შეუქმნია, ყოველივე ამ დევიზის ქვეშ.

თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თუ კულტურის სხვა დარგებთან ერთად, აღმავლობას განიცდის. ჩვენს ეროვნულ მხატვრობას, რომლის რეზონანსი დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, ღირსეული წვლილი შეაქვს მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის ზეიმის დღეებში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა, მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმაფრენით აღინიშნა უკანასკნელი წლები... ეს მიღწევები შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ენერგიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ".

მიღწეული წარმატებები შეიძლება წინა პირობად ჩავთვალოთ მომავალი, უფრო დიდი გამარჯვებებისათვის. ამის გარანტიაა უფროსი თაობის დიდი შრომითი მიღწევები, მათ შემოქმედებით ტრადიციებზე აღზრდილი, ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა თაობა, რომელიც მოდის თვითდამკვიდრებისა და თვითგამოხატვის სურვილით. ჩვენი ამოცანაა ყოველნაირად დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ, როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, რათა მათი ენერგია თავიდანვე სწორი მიმართულებით წარიმართოს.

„ძალზე საჭიროა დროზე, შეამჩნიო ხელოვანის წარმატება, მხარში ამოუდგე მას წარუმატებლობის ჟამს, მოთმინებით, კეთილმოსურნედ განუმარტო პარტიის პოზიცია". — აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ.

ქართველ მხატვართა უკანასკნელი პერიოდის წარმატებებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ეს ყველაფერი ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. მხოლოდ პრემიებით და ჯილდოებით აღნიშნული ნაწარმოებები როდი განსაზღვრავს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მიღწევებს, მაგრამ ეს ფაქტებიც ბევრის მთქმელია. მიუხედავად აღიარებისა, ქართველი მხატვრები ჯერ კიდევ ვალში ვართ ჩვენი თანამედროვეობის წინაშე, ჯერ კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს დღევანდელობის მხატვრული ასახვის და გმირული ისტორიის წარმოსაჩენად.

სამწუხაროდ, გამონაკლისი არც ისეთი შემთხვევებია, როცა მხატვრის სულიერ მოთხოვნილებას ზოგჯერ ჩრდილავს მატერიალური და ახალგაზრდული ასაკიდანვე მიწიერი ფუფუნებისაკენ სწრაფვა. მაგრამ მათ გვერდით არიან ისეთებიც, რომლებიც ნიჭით, თავიანთი პროფესიისადმი ბოლომდე ერთგულებით, მოკრძალებული ბუნების გამო, არ „ხმაურობენ" და ამით უფრო მეტ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას იმსახურებენ.

რატომღაც ამ ბოლო დროს ხშირად ვიმეორებთ ხელოვნებასთან დაკავშირებულ მოდურ აზრს: ჭეშმარიტ ნიჭიერებას მომავალი განსაზღვრავსო, მის დანახვას და აღიარებას ხშირად დროს მივანდობთ. ცხადია, ეს ასეა, მაგრამ როცა ადამიანი ღელვზე ვერ გადამხტარა და მდინარისკენ ინევს, ან კიდევ ზღვის ორაგულს აკვარიუმში მოვათავსებთ, ძნელი არ უნდა იყოს შედეგის განსაზღვრა ანმყოფივე. შეცდომები, შემოქმედებითი მარცხი და სხვა მსგავსი მოვლენები, უპირველეს ყოვლისა, ხელოვანის შესაძლებლობის, მისი ამპლუის უგულვებელყოფიდან იწყება. ტიტანური ინფორმაციის საუკუნეში, როგორც არასდროს, საჭიროა ცოდნის ათვისების შესაძლებლობათა დიფერენცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალია დილეტანტიზმი, ზედაპირულობა და პროფესიულ თვისებათა დევალვაცია.

ყველამ ის უნდა აკეთოს, რასაც კარგად აკეთებს, სხვაგვარად რიცხვი შეინირავს ხარისხს, რომლის გარეშე პროგრესის და განვითარების ცნება მშრალ აბსტრაქციად დარჩება.

უკანასკნელ პერიოდში ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ქმნილება შეემატა. ბევრმა ნაწარმოებმა — ტილომ, ქანდაკებამ უკვე დაიმახსოვრა საყოველთაოდ აღიარება, ბევრმა უკვე გაიარა „განსაწმენდელი" და სრულუფლებიანი სიცოცხლე დაიმკვიდრა დროსა და სივრცეში. შეიქმნა ღირსშესანიშნავი მემორიალები დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, აიგო სიმბოლური, ალეგორიული ხასიათის საინტერესო მონუმენტები, გამოჩენილ პიროვნებათა, საზოგადოებრივ-ეროვნული ძეგლები და სხვა. ცხადია, ყველა ნაწარმოები ვერ იქნება თანაბარი მხატვრული ღირსებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ დაბალი მხატვრული დონე, უსახობა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ავტორთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, შემოქმედებითი პროფილისა და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობის ბრალი უფროა, ვიდრე ნიჭიერ შემოქმედთა სიმცირისა.

დღეს, გრანდიოზულ მშენებლობათა ეპოქაში, სწრაფად იცვლება ადამიანის სამკვიდრო, საცხოვრებელი გარემო. შენდება არქიტექტურული ანსამბლები, სანარმოო კომპლექსები, იცვლება მხატვრის ესთეტიკური დამოკიდებულება სივრცისადმი, გარემოსადმი. აქედან გამომდინარე, ცხადია, იცვლება მხატვრული ამოცანები და შემოქმედისაგან ყოველივე ეს ახალ, თავისებურ პასუხს მოითხოვს. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, დღეს მონუმენტური ნაწარმოების მხატვრულ-პლასტიკურ თვისებებს, მათ ჭეშმარიტ ესთეტიკურ ღირებულებას არსებული გარემოცვაც განაპირობებს.

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა ჩვენი დედაქალაქის თბილისის „მხატვრულ" იერზე. მისი ორიგინალური მდებარეობის, ლანდშაფტის, კოლორიტის, არქიტექტურის თავისებურებაზე. ყოველი ქალაქის სახე ხომ მასში მცხოვრებ ადამიანთა სულის სარკეა. როგორიცაა მის მკვიდრთა სულიერი მოთხოვნილება, შემოქმედებითი უნარი, ნიჭი შრომისა, ასეთივეა ქალაქის სახეც.

გამონაკლისს არც ჩვენი დედაქალაქი წარმოადგენს. მისი ჭრელი კოლორიტი, ხუროთმოძღვრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინტერნაციონალური" სტილი მისსავე მკვიდრთა ინტერნაციონალური ხასიათიდან, ბუნებიდან მომდინარეობს და, ამიტომაც, ალბათ ცოტაა თბილისისათვის დამახასიათებელი ინტიმის მქონე სხვა ქალაქი, სადაც ასე თბილად, მეგობრულად და ჰარმონიულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. თბილისი მის მკვიდრთა ფანტაზიისა და გარემოს მთლიანობაა, ნინაალმდეგ შემთხვევაში "ეს ქალაქიც ისევე დაიცლებოდა, როგორც არა ერთი და ორი დაცლილა ნინათ.

ძეგლი, მონუმენტი დღეს აუცილებელი მხატვრული კომპონენტია ქალაქებისათვის, როგორც მემორიალური (ხსოვნა, პატივისცემა, უკვდავყოფა პიროვნებისა, ისტორიული ფაქტისა), ისევე მხატვრულ-ესთეტიკური ნიშნით. ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მხატვრული შემეცნების თვალსაზრისით, ისე მოქალაქეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური შემეცნების თვალსაზრისითაც.

თბილისი, მისი ტოლი ქალაქებისაგან განსხვავებით, ადრე არ ყოფილა განებივრებული ძეგლებით, მონუმენტებით. რევოლუციამდელ თბილისში თითქმის არ იდგა ისეთი ქანდაკება, ძეგლი, ბიუსტი, მნიშვნელოვანი რომ ყოფილიყო თავისი მხატვრული ღირებულებით. პირველი ქანდაკებების დადგმა ჩვენს ქალაქში ისევ იაკობ ნიკოლაძის, იმ ადამიანის სახელს უკავშირდება, რომელმაც ქართულ პროფესიულ ქანდაკებას ჩაუყარა საფუძველი.

არ შეიძლება თვალს არ ახარებდეს ის სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოები, ძველი თბილისის რაიონებში რომ მიმდინარეობს. ბევრ ქუჩას, სახლს, სკვერს დაუბრუნდა ადრინდელი სილამაზე და ამან კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი დედაქალაქის კოლორიტი. ორჯერ ჩატარებულმა ახალმა სახალხო დღესასწაულმა „თბილისობამ" გვიჩვენა, რაოდენ გულწრფელია და ჭეშმარიტად სახალხო ეს ზეიმი, რომელიც ბუნებრივად იქცა მთელი რესპუბლიკის შრომითი გამარჯვების სადღესასწაულო გამოხატულებად.

ამ ზეიმის ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს მხატვრებსაც. თბილისის თემაზე ისინი ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს, აწყობენ გამოფენებს.

საერთო წარმატებებს ზოგჯერ ჩრდილს აყენებს მხატვრულ-ესთეტიკური კონტროლის მოდუნება ძეგლების დადგმის თუ ქალაქის გაფორმებითი სამუშაოების ჩატარებისას. ჯერ კიდევ გვხვდება საკუთარი ინიციატივის, მცდელობის სავალალო შედეგები, კომპეტენტური მხატვრული ინსტანციების უგულვებელყოფის მაგალითები, რაც ბღალავს ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა მაღალ ავტორიტეტს. საჭიროა „ამაღლდეს კონტროლი სამხატვრო-სანარმოო კომბინატებში შესრულებულ სამუშაოებზე. ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომელიც სახელმწიფო დაკვეთების შესრულებას ახლავს.

სულ მალე მთელი ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს რუსეთთან საქართველოს შეერთების, ე. წ. გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება საქართველოს სამხედრო გზის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე ძეგლების დადგმა, რომლებიც უკვდავყოფენ საუკუნეობრივ მეგობრობას. ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება საქართველოს სამხედრო გზის ისტორიული მნიშვნელობა.

ამ სამუშაოებში ჩაბმულნი არიან ჩვენი რესპუბლიკის მონინავე მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები. ეჭვი არ არის, რომ ბევრი მათგანის შემოქმედებითი გამარჯვების მონმენი გავხდებით.

ახლოვდება კიდევ ერთი ისტორიული თარიღიც — დიდგორის ბრძოლის 800 წლისთავი. საქართველოს მხატვართა კავშირმა დიდი ხანია შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საზეიმო დღეებისათვის ამ თემაზე კონკურსის ჩატარებას, რათა გამოვლინდეს საუკეთესო პროექტი და ძეგლი დაედგას იმ პიროვნებას და იმ ისტორიულ მოვლენას, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი სამშობლოს უკვდავების, მისი სახელის ამაღლებისა და განდიდებისათვის.

ხელოვნებაში დროის ფენომენი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი და ცხოვრებისეული აზრებისა და შეხედულებების, ნათელი და პროგრესული იდეების ობიექტური, პროფესიული ძიება და დამკვიდრება. ჩვენ უმნიშვნელოვანესი მისია გვეკისრება, — ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მაღალმხატვრული შემოქმედების მეშვეობით ვაზიაროთ ადამიანები ამ იდეებს, ხელი შევუწყოთ ხალხის ესთეტიკურ ზრდასა და სრულყოფას, ავამაღლოთ ჩვენი ახალგაზრდობის, მომავალ თაობათა მორალური, ზნეობრივი, პოლიტიკური შეგნებულობა, ვფიქრობთ, რომ ქართველ მხატვრებს ხელენიფებათ ეს დიდი მისია.



ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი. — მხატვარი უ. ჯაფარიძე.

# ვამრავლოთ შემოქმედებითი მონაპოვრები

აფხაზეთის მხატვართა კავშირში გაერთიანებული მხატვრები ფართო და მრავალმხრივ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან. დიდად ნაყოფიერია მათი საგამოფენო საქმიანობაც. სოხუმის საგამოფენო დარბაზი მუდამ დაკავებულია რესპუბლიკური, პერსონალური, მოძრავი და გაცვლითი გამოფენებით, რომელიც დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

აფხაზეთის მხატვართა კავშირის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ახლად რეკონსტრუირებულ საგამოფენო დარბაზში მოეწყო გამოფენა „ბიწო და ადამიანები", რომელიც ფართოდ გააშუქა საქართველოს ტელევიზიამ, აღინიშნა ცენტრალური ტელევიზიითაც.

1980 წელს აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა მოსკოვში. ყურნალი „დრუჟბა ნაროდოვ" გულთბილად გამოეხმაურა ამ ექსპოზიციას — დაბეჭდა სტატია და ნაწარმოებთა ფერადი რეპროდუქციები.

ამავე წელს ქუთაისში გაიმართა აფხაზეთის კულტურის დღეები, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მხატვრებმა. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ 60 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა სოხუმის საგამოფენო დარბაზში.

ახალგაზრდა მხატვართა მომზადებული ოსტატობა, საკუთარი სახის ძიება ცხადყო კომკავშირის საოლქო კონფერენციასთან დაკავშირებით მოწყობილმა გამოფენამ.

ჩვენმა მხატვრებმა ბოლო ხანს თვალსაჩინო ნამუშევრები შექმნეს მონუმენტურ ხელოვნებაში, საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს მოქანდაკე ვ. ივანბას ეკუთვნის დიმიტრი გულიას ძეგლი თბილისში, დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნას ეძღვნება საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მოქანდაკე მ. ეშბას მიერ შექმნილი, ქ. გუდაუთის ცენტრში აღმართული მონუმენტი (არქიტექტორი ტ. ლაკობა), გმირთა ძეგლი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ატარაში შექმნა მოქანდაკე გ. ლაკობამ, სოფ. ბზიფის ცენტრში მონუმენტური ძეგლების ავტორია აფხაზეთის დამსახურებული მხატვარი, სოხუმის მთავარი მხატვარი ი. ჭკადუა. შეიქმნა აგრეთვე მრავალი სხვა საინტერესო ნაწარმოები — მონუმენტური მოხატულობანი სასტუმროებში, კულტურის სახლებში, ქარხნებში, კაფეებში და სხვ. (მხატვრები ვ. გამგია, ტ. ამპარი).

აფხაზეთის მხატვრები საგულისხმო შემოქმედებითი მონაპოვრებით ხვდებიან საქართველოს მხატვართა X ყრილობას.

ს. გაგელია,
აფხაზეთის ასსრ მხატვართა
კავშირის თავმჯდომარე.

# წინსვლის გზაზე

გასული წლები მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენებით აღინიშნა აჭარის მხატვართა კავშირის ცხოვრებაში. ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებმა მრავალი შთაგონებული ნაწარმოები უძღვნეს შესანიშნავ საიუბილეო თარიღებს. მოაწყეს რამდენიმე ფართო მასშტაბის სამხატვრო გამოფენა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ორი წლის წინ საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების ჩატარებაში. ბათუმში ჩამოსულმა სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი მხატვრების რეტროსპექტულ გამოფენას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

სულ უფრო უმჯობესდება მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის პირობები, ახლახანს კავშირს გადაეცა ახალი სათავსები სახელოსნოებისათვის, გაფართოვდა საგამოფენო დარბაზი.

საანგარიშო პერიოდში 5 მხატვარს მიენიჭა საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მხატვრის სამატიო წოდება. ამჟამად ჩვენთან სამატიო წოდებას ატარებს 10 მხატვარი.

საანგარიშო პერიოდში 56 გამოფენა გაიმართა: 31 იყო სტაციონარული, 25 — მოძრავი. მოეწყო 5 ჯგუფური, 5 პერსონალური, 3 შემოქმედებითი სექციების გამოფენები. 1978-1979 წლებში მოსკოვში გამართულ გამოფენებზე „საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა გვარდია" და „სამშობლოს ცისფერი გზები" ბათუმელ მხატვართა დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა.

1980 წელს მოსკოვში, აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 56 მხატვრის 130 ნაწარმოები, რომლებიც მრიცაკვნენ სახვითი ხელოვნების ყველა სფეროს.

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ სამხატვრო გალერეა მოაწყო შეახვევის რაიონულ ცენტრში, მუდმივი გამოფენები — ინვალიდთა და ხანდაზმულთა სახლში, ფინანსთა სამინისტროსა და მესაზღვრეთა კლუბში, აგრეთვე ბათუმის შე-4 საშ. სკოლაში.

ამავე პერიოდში ოთხჯერ გაიმართა ჩვენი გამოფენის „გარჩევა, ორჯერ ლექცია, რომლებშიც მონაწილეობდნენ პროფ. ი. ურუშაძე და ხელოვნებათმცოდნე მ. ბარანოვი.

გამომცემლობა „ხელოვნებამ" 1977 წელს გამოსცა აჭარის მხატვრების ნაწარმოებთა დიდი ზომის ფერადი რეპროდუქციები, 1980 წელს — ალბომი „აჭარის ოცი მხატვარი".

ახალარჩეულ აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობას, რომელიც მთლიანად ახალგაზრდა მხატვრებით არის წარმოდგენილი, წინ რთული და პასუხსაგები ამოცანები აქვთ გადასაჭრელი. ვუსურვოთ წინსვლა და წარმატება ამ საპატიო საქმეში.

ხ. ინაიშვილი,
აჭარის ასსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

# გვილოცავენ

**ნოდარ დუმბაძე,**
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

**ქართველ** მწერალთა და მხატვართა მეგობრობის ხე გუშინ არ დარგულა, ნაყოფიც გუშინ არ გამოუსხამს. ერთად გაჩნდნენ ამ დალოცვილ მიწაზე ფერიც და სიტყვაც. მართალია, მხატვრები ასე ფიქრობენ, რომ ფერმა და ფორმამ დაასწრო დაბადება სიტყვასო, მაგრამ მე მაინც მგონია, სიტყვამ მისცა ფერი ყველაფერს, რადგან სიტყვა იყო ღმერთი.

მას შემდეგ შრიალებს ხე ედემის ბაღში და მის ჩრდილში სიყვარულს ეფიცებიან ქართული სიტყვისა და ფერის ოსტატები. ნურასოდეს მოშლოდეთ მათ მზიანი და წვიმიანი ამინდები, ხეების შრიალი, ცისარტყელას ფერები და შროშის, ბროძოლის და სიმღერის განწყობილება.

გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, მხატვართა მეათე ყრილობას.

კვლავ წარმატებებით გევლოთ.

**ელდარ შენგელაია,**
საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი

**ქართული** კინო დიდადაა დავალებული ქართული მხატვრობისაგან. მისი მადლი აჩნია ჩვენს ყველა საუკეთესო ფილმს. ჩვენი ქვეყანა, მისი განუმეორებელი ფერები, მისი სილამაზე თუ სიხალვაე, ეკრანზე გადმოსული, ქართველი კინემატოგრაფისტების გარდა, ქართველი მხატვრების ნიჭისა და მადლის წყალობა და დამსახურებაა, ალბათ, უპირველესად. სწორედ მათი დამსახურებაა.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ქართველი მხატვრების ნამუშაკევი და ნაღვაწი ქართული კინოთი როდი შემოიფარგლება. მთელ ქართველ ხალხთან ერთად გვახარებს ქართველ მხატვართა გამოფენები, რომლებიც უკანასკნელ წლებში იმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და მის საზღვრებს გარეთაც.

ქართველი კინემატოგრაფისტები მხურვალედ გილოცავთ ყრილობის მუშაობის დაწყებას. მიიღეთ ჩვენი სიყვარული, წარმატების სურვილები, გვიგულეთ თქვენს გულწრფელ მეგობრებად.

**დიმიტრი ალექსიძე,**
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე

**ძვირფასო** მეგობრებო! ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებო! საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით გილოცავთ და მოგესალმებით საქართველოს მხატვართა X ყრილობის დელეგატებს. თქვენი ყრილობა ტარდება იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა ემზადება დიდი დღესასწაულის — საბჭოთა კავშირის შექმნის სამოცი წლის იუბილესათვის. სამოცი წლის მანძილზე ქართველმა მხატვრებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ შესანიშნავი ხელოვნების სხვადასხვა დარგებსა და უანრებში. კერძოდ, ქართული საბჭოთა თეატრის მდიდარ და საინტერესო შემოქმედებით ტრადიციებს საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრის კორიფეთა — კ. მარჯანიშვილისა და პ. ოცხელის, აგრეთვე ხ. ახმეტელისა და ი. გამრეკელის, ერთობლივი, დაძაბული ძიებების შედეგად სწორედ მათი დიდი ნიჭის წყალობით ახალ შემოქმედებით საფეხურზე ამაღლდა ქართული სცენოგრაფია.

დღეს, როდესაც რუსთაველის თეატრმა ქართული თეატრის სახელი გაიტანა შორს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით, ეს ტრადიცია თანამედროვე სცენოგრაფიაში ახალ ასპექტში გრძელდება.

გისურვებთ შემდგომ დიდ გამარჯვებებს, ძვირფასო მეგობრებო!

**ნოდარ მგალობლიშვილი,**
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე

**საქართველოს** არქიტექტორთა კავშირის მოღვაწეობაში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გვესახება კონტაქტების განვითარება შემოქმედებით კავშირებთან — მწერლებთან, კომპოზიტორებთან, კინემატოგრაფისტებთან, ჟურნალისტებთან, თეატრალურ საზოგადოებასთან, რადგან არქიტექტურა მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ხელოვნების თითქმის ყველა დარგთან. მაგრამ განსაკუთრებით მჭიდროდ ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვითანამშრომლოთ მოძმე შემოქმედებთან — მხატვრებთან, რომელთა როლიც არქიტექტურული გარემოს ჩამოყალიბებაში მეტად მნიშვნელოვანია.

ხელოვნების ისტორიას არ ახსოვს ამ ორი დარგის დაშორების შემთხვევები. სხვა საკითხია, თუ როგორი ფორმით ვლინდება ეს დამოკიდებულება, რამდენად მოფიქრებული და გულწრფელია ეს კონტაქტები. ამ მხრივ მეტად სასარგებლო იყო არქიტექტორთა და მხატვართა კავშირების მიერ ჩატარებული გაერთიანებული პლენუმი, სადაც ბევრი საინტერესო და საკმაოდ კრიტიკული აზრიც გამოითქვა, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას.

მინდა ჩვენი არქიტექტურული საზოგადოების სახელით მივულოცო საქართველოს მხატვართა კავშირის ყრილობის დელეგატებს და ვუსურვო შემოქმედებითი ძალების შემდგომი აღმავლობა.

**ოთარ ჭინჭლაძე,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გულითადად** მივესალმები ქართველი ინტელიგენციის მოწინავე რაზმს, რომელიც შეიკრიბა თავის მორიგ X ყრილობაზე. საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და რესპუბლიკის მასწავლებლობა დიდად არიან დავალებულნი ქართველი მხატვრებისაგან, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეეტანა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მეტად კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ურთიერთ თანდგომა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

ვუსურვებ ქართველ მხატვრებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ანდრია გალანჩიკაძე,**
კომპოზიტორი.

**მე მოხარული** ვარ მივესალმო ჩემს პატივცემულ მეგობრებს — ჩვენი ეროვნული კულტურის მშენებლებს — ქართველ მხატვრებს.

ჩვენი ხალხის შეგნებასა და ალქმაში მხატვრის პიროვნება უძველესი დროიდანვე შემკული იყო პოეტურობის შარავანდედით. მის მშვენიერ ნაწარმოებებს ადარებდნენ თვით ბუნების ხელთუქმნელ სილამაზეს. და მართლაც, ძნელია რაიმე შეადარო ქართული ფრესკის ამაღლებულ მშვენიერებას, მარადიულ ნათებას და ადამიანურ სითბოს.

ვფიქრობ, რომ ყოველი შემოქმედისათვის სრულყოფის გზა არის თანამედროვეობის მოვლენათა. ჩვენი დღევანდელი სინამდვილის შთაგონებული წარმოსახვა. დღეს, ყრილობის გახსნისას, მე მინდა სულითა და გულით გისურვოთ, რომ ყრილობამ დასახოს ახალი, ცხოვრებისეული ამოცანები, რომლებიც შთაგაგონებენ თქვენ შემდგომი შემოქმედებითი ძიებებისათვის, დაგისახავენ უეჭველი წარმატების გზას.

**გივი მელაძე,**
საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

**საზღვარგარეთის** ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ მოგესალმები ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატებს — მხატვართა X ყრილობის მონაწილეებს და გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში.

ქართული საბჭოთა მხატვრობა ფართოდ გავიდა საერთაშორისო სარბიელზე! ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენებმა საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის დიდი აღიარება და მოწონება დაიმსახურა.

კიდევ ერთხელ გისურვებთ დიდ წარმატებებს მუშაობაში.

# გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად



დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავი დიდებული ძეგლი გაიხსნა ქალაქ ქუთაისში გასული წლის ნოემბერში. ქართულ მონუმენტურ ხელოვნებას შეემატა კიდევ ერთი მაღალმხატვრული ქმნილება, რომლის ავტორები არიან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე შერან ბერძენიშვილი და არქიტექტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი.

მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილ დიდ საზეიმო მიტინგზე, რომელსაც მრავალრიცხოვანი სტუმრები ესწრებოდნენ როგორც ჩვენი რესპუბლიკიდან, ისე მოძმე რესპუბლიკებიდან, სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

დიდების მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი — ეს იყო სამშობლოს თავშეწირული ადამიანების ღვაწლის ღირსეული დაფასება, ესოდენ შთამბეჭდავად რომ შეინახა ხორცი არქიტექტორისა და მოქანდაკის ხელოვნებაში. ეს იყო ქართული მხატვრობის, პლასტიკის, არქიტექტურის განვითარების განვლილი გზისა და უახლესი მონაპოვრების თვალის მოვლება, ეს იყო სიამაყისა და სიხარულის გამოხატულება იმ გამარჯვებების გამო, ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ რომ მოიპოვეს.

თითქმის ორმოცდაათმეტრიანი სტრიუმფო თაღი გაშლილ ვეფხვზეა აღმართული და ორგანულად ერწყმის გარემოს. ნაგებობის საერთო კონსტრუქციულ-პლასტიკური გადაწყვეტა საოცრად ზეადმტაცია, ამავე დროს, ღრმა შინაგანი შინაარსით დამუხტული, რაც გამოვლინას ჰპოვებს ამ ქმნილების ყოველ დეტალში. ხალხის მაღალ ოპტიმიზმსა და გმირულ სულისკვეთებას ასხივებს ცხენოსანი ჭაბუკის ფიგურა მემორიალის თაღის წინ, მოხუცისა და ბავშვების რელიეფური ფიგურები — თაღის დამაგვირგვინებელ ნაწილში. მემორიალის ცენტრი კი მძვინვარე ომის ალეგორიაა. ღრმა ექსპრესიით აღსავსე სპილენძის ეს ჭედური რელიეფი მიგვანიშნებს იმ ტრაგიკულ დღეებზე, ნგრევა და ხოცვა-ყლეტა რომ მოუტანა ხალხებს.

ბოროტზე კეთილის გამარჯვების მარადიული რწმენითაა გამსჭვალული ქართული მონუმენტური ხელოვნების ეს ახალი, დიდებული ნაწარმოები. იგი ერთხელ კიდევ შეახსენებს ადამიანებს გარდასული დროის მძიმე წუთებს, ერთხელ კიდევ არწმუნებს იმ უოვლისმძლე, გმირულ ძალაში, რომელიც, თუ საჭირო გახდა, კვლავაც უკანდაუხევლად წინ აღუდგება სამტროდ მოსულს.

# მხატვარი და ჟურნალი

აგერ უკვე თითქმის ოცდაათი წელია ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ (დიდი სამამულო ომის დროს შეწყვეტილი მისი გამოცემა განახლდა 1953 წელს) ერთგულად ემსახურება ეროვნული შემოქმედების სხვადასხვა დარგს, კვალდაკვალ მიჰყვება მისი განვითარების გზას და თავის ფურცლებზე აირეკლავს ყოველივეს, დიდსა თუ მცირეს, რასაც მოიპოვებს ქართული ხელოვნება ამ გზაზე. მაგრამ ჟურნალი არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ ეროვნული ჩარჩოებით. იგი იმთავითვე, დასაწყისიდანვე ფართო ინტერესებითა და ფართო დიაპაზონით გამოირჩეოდა, რამდენადაც ეროვნული ორგანულ კავშირშია ხელოვნების საერთო განვითარებასთან, მოძმე ხალხებთან შემოქმედებითი ურთიერთობის ისტორიულ ფესვებთან, იმ ფესვებთან, რომელიც ასე ამოიზარდა და არნახულად გაიშალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდგომ.

ჟურნალის ეს ფართო თვალსაწიერი, თანამედროვეობასთან ერთად წარსულის კვლევასაც რომ მოიცავს, წვდება მსოფლიო კულტურულ მონაპოვრებსაც და თავის მკითხველებს აცნობს სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ხალხის ხელოვნებას. ამ გამოცემისთვის, რომელიც ხელოვნების ყველა დარგს ერთიანებს და თვეში ერთხელ გამოდის, ცხადია, რთულია მის წინაშე მდგარი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრა (ამასთან გამოცემის გრაფიკის ზუსტი დაცვა), მაგრამ ჟურნალის ირგვლივ მუდამ იყო და არის შემოკრებილი ავტორთა ფართო წრე. მასში შედიან ხელოვნების ცნობილი მკვლევარები, ისტორიკოსები, თეორეტიკოსები, მეცნიერები, არქიტექტორები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, ჟურნალისტები, მწერლები, სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა დარგის ხელოვნებისმცოდნეები, რომელთაგან ძალიან ბევრი პირველად სწორედ ამ ჟურნალში გამოჩნდა და აქ გაიზარდა როგორც პროფესიონალი. ჟურნალის ფურცლებზე წერილებსა და სტატიებს აქვეყნებენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც — ხელოვნებისმცოდნეები, შემოქმედებითი მუშაკები. მათი ეს ნაყოფიერი მონაწილეობა ქართულ ჟურნალში ერთხელ კიდევ თვალნათლივ მოწმობს იმ ღრმა დაინტერესებას, და არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, მხურვალე სიყვარულს ქართული ეროვნული ხელოვნებისა, რაც მათ სტატიებში, გამოკვლევებში მეღავნდება.

ქართული ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ჟურნალი დასაბამიდანვე უდიდესი გულისყურით, ერთგულებით ემსახურებოდა ქართული მხატვრობის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეს. შეძლებისდაგვარად, უხვად ბეჭდავდა და ბეჭდავს მხატვართა ნაწარმოებების რეპროდუქციებს (მიმდინარე წლიდან განახლდა ფერადი რეპროდუქციების ბეჭდვაც), ცდილობს გამოეხმაუროს ყოველ სამხატვრო გამოფენას, ქრონიკის განყოფილებაში მაინც, ვინაიდან გამოფენები მალე იცვლება და ერთდროულად მრავალ დარბაზში იმართება. მაგრამ მიუხედავად ჟურნალის გარკვეული წვლილისა მოვლენათა გაშუქებაში, თანამედროვე მხატვრობის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმე უთუოდ ჩამორჩება შემოქმედებით პრაქტიკას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ხელოვნებისმცოდნეთა არასაკმაო აქტიურობაა და ამაზე ქვემოთ აღვნიშნავთ.

ბოლო წლებში ხელოვნებათმცოდნეობაში მოვიდნენ ახალგაზრდა კადრები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულნი. დღეისათვის ისინი უკვე ბევრნი არიან. მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი (ძალიან მცირე ნაწილი) თუ არის ჩაბმული აქტიურ ხელოვნებათმცოდნეობით საქმიანობაში. ეს, ძირითადად, ალბათ იმით აიხსნება, რომ სპეციალური განათლების მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კურსდამთავრებულის პროფესიონალიზმს. რა დარგის პროფესიონალიც არ უნდა გამოუშვას უმაღლესმა სასწავლებელმა და რაოდენ ბრწყინვალედაც არ უნდა დაამთავრეს იგი ახალგაზრდამ, ჭეშმარიტ პროფესიონალიზმს აწრთობს მხოლოდ ცხოვრება, პრაქტიკული საქმიანობა, ამ საქმის სიყვარული და ცოდნის შემდგომი სიხატმური გაღრმავება. ის მცირე ნაწილი ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეებისა, რომლებიც დღეს უკვე ჩანან თავიანთი ნაყოფიერი მოღვაწეობით, სწორედ ამ გზით შემოვიდა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობასა და კრიტიკაში.

ხელოვნებათმცოდნეობა ურთულესი პროფესიაა და ამიტომ არც გასაკვირია, რომ მრავალთა შორის მხოლოდ ერთეულები თუ ყალიბდებიან ნამდვილ, ავტორიტეტულ პროფესიონალებად. ვფიქრობ, ისევე, როგორც შემოქმედებითი ნიჭი აუცილებელია მხატვრად გახდომისათვის, ასევე სრულიად გარკვეული მონაცემებია საჭირო ხელოვნებათმცოდნისთვის (სამწუხაროდ, ეს დარგი ზურგზეა ჩამოგდებული). მე ვიტყოდი, რომ ეს იგივე მოწოდებაა, იგივე შემოქმედებაა, ვინაიდან არა მხოლოდ ფართო ერუდიციას და კვლევის უნარს ითხოვს, არამედ ჟურნალისტურ ნიჭსაც, წერის ხელოვნებას ამ სიტყვის ფართო გაგებით. ეს აუცილებელი მონაცემები კი ბევრს არ გააჩნია და ეს ირკვევა მაშინ, როცა დამოუკიდებელი გზა იწყება, სხვათაშორის, ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ ზოგიერთ კურსდამთავრებულ ხელოვნებისმცოდნეს არც სურვილი აქვს, რომ გაიწაფოს და დაოსტატდეს თავის საქმეში, მეტსაც ვიტყოდი — არც მაინცადამაინც დაინტერესებულია მხატვრული ცხოვრებით.

მხატვრებისაგან ხშირად ისმის საყვედური იმის თაობაზე, რომ არ შუქდება მათი შემოქმედება. საყვედური ნაწილობრივ მართებულია და ზემოთ სწორედ ამაზე აღვნიშნავდით. ნაწილობრივ მართებულად კი იმიტომ მიგვაჩნია, რომ რაც შუქდება და რაც იბეჭდება, ამ საყვედურების გამომთქმელებს ხშირად არ წაუკითხავთ. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ აგერ უკვე ოცდაათამდე წელია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ იბეჭდება სხვადასხვა ხასიათის წერილები, რეცენზიები, მიმოხილვები თანამედროვე ქართული მხატვრობის დღევანდელობაზე და ჯერ არც რომელიმე ტრიბუნიდან, არც რედაქციის მისამართით გამოგზავნილი რაიმე წერილიდან, არც პირადად არასოდეს მოგვმართია მისი მკითხველი მხატვრის რაიმე აზრი რომელიმე კონკრეტული რეცენზიისა თუ წერილის შესახებ. ავიღოთ თუნდაც სულ უახლესი მაგალითი: დაიბეჭდა ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნის ვრცელი წერილი ერთ-ერთი რესპუბლიკური გამოფენის შესახებ. წერილი საკმაოდ მწვავე კრიტიკული ანალიზის შ

# სამხრეთ ოსეთის მხატვრები

**ახლა**, როცა სამხრეთ ოსეთის ხალხი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გაცხოველებით ემზადება საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის, თვალს ვავლებთ ჩვენს მართლაც მშვენიერ მიღწევებს ეროვნულ მხატვრობაში.

ოცდათხუთმეტი მხატვარი, რომელიც სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირშია გაერთიანებული, მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების, აგრეთვე ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის აღზრდილებია. მათი ნაწარმოებები, რომლებშიც ასახა ავტონომიური რესპუბლიკის აღმშენებლობითი წინსვლა, კულტურისა და ხელოვნების აყვავება, თავისთავად ნათლად მეტყველებს მხატვართა პროფესიულ ზრდაზე, თვითმყოფად ტალანტთა სიმდიდრეზე და ფართო შემოქმედებით შესაძლებლობაზე. ფუნჯის და საჭრეთლის ოსტატთა მოღვაწეობა უშუალოდაა დაკავშირებული ხალხთან, საზრდოობს ხალხის ცხოვრებით, შთაგონებულია მისი წინსვლითა და წარმატებებით. საზოგადოებაც სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს იჩენს მათი ხელოვნებისადმი, რომელსაც არა მხოლოდ რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო გამოფენებზეც ეცნობა. 1980 წელს სამხრეთ ოსეთის მხატვართა შემოქმედებამ ბაღალი შეფასება დაიმსახურა მოსკოვში მოწყობილ გამოფენაზე, რომელზეც ასზე მეტი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ამჟამად ჩვენს კოლექტივში 6 მხატვარი საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდებას ატარებს, ორი — კოსტა ხეთაგუროვის პრემიის ლაურეატია, ერთი (ი. ალბორტი) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიისა — „ხუთწლედის მატიანე“.

სამხრეთ ოსეთის მხატვრები, რომელთა შემოქმედება დაფუძნებულია ეროვნულ ძირებზე, ტრადიციებზე, ამდიდრებენ არა მხოლოდ ეროვნულ საგანძურს, არამედ მთა თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთოდ საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

**ბ. სანაკოევი,**
**სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.**

• •

# კვლავაც შთაგონებით, მომთხოვნელობით

**საქართველოს** მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში გაერთიანებული მხატვრების შემოქმედებით მოღვაწეობას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. კოლექტივი ყოველწლიურად იზრდება, უმჯობესდება შემოქმედებითი პირობები, ფართოვდება ხალხთან უშუალო კონტაქტები. სათანადოდ ფასდება ხელოვანთა ღვაწლიც. ბოლო წლებში საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა მოქანდაკე ვალერიან მიზანდარს, საქართველოს დამსახურებული მხატვრისა — მოქანდაკე გ. ნიკოლაძეს. საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია მიეკუთვნა ახალგაზრდა მხატვარ-გრაფიკოსს გ. დოლენჯაშვილს.

მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მხატვართა იდეურ-შემოქმედებით აღზრდას, რაშიც გარკვეულ როლს თამაშობს შემოქმედებითი მივლინებები, ახგარიშები.

თემატურ გამოფენებთან ერთად, საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა პერსონალურმა გამოფენებმა, რომელთა ავტორები იყვნენ ვ. მიზანდარი, ჯ. ჭეიშვილი, ვ. კაპანაძე. ჯ. ჭეიშვილის ნამუშევრები ფულობილად მიიღეს მოსკოვში, ხოლო ვ. კაპანაძის ფერწერული ტილოები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამოფენილია შვიდი ქართველი მხატვრის ნამუშევრებთან ერთად.

ჩვენი კოლექტივის საქმიანობაში ოთხი ნაკლოვანებებიც იჩენს თავს, კერძოდ, მეტ პრინციპულობას ითხოვს საგამოფენო ექსპონატების შერჩევა, არასაკმარისია სახელოსნოები. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ოთხი სახელოსნო გადაეცა კავშირს.

კვლავ შეჩერებულია სამხატვრო სკოლის შენობის მშენებლობა, რის გამოც სკოლა, დღიდან დაარსებისა, სხვადასხვა ორგანიზაციაშია შეკედლებული. სასურველია დავსვათ მხატვართა სახლის გახსნის საკითხი, რაც კიდევ უფრო აამაღლებდა შემოქმედთა ავტორიტეტს.

ქუთაისში მოღვაწე მხატვრები თანამედროვე ცხოვრებით შთაგონებული ნაწარმოებების შექმნაში ეხედავთ ჩვენი შემოქმედებითი შრომის დანიშნულებას, პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას, რისთვისაც მაღალი პასუხისმგებლობითა და მომთხოვნელობით წარვმართავთ მთელ ჩვენს საქმიანობას.

**ჯ. ფაჩუაშვილი,**
**ქუთაისის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.**

# დიდებისა და ხსოვნის ძეგლები



**სურათებზე** (ზემოთ): „მადლიერი დედა“ თბილისის გამარჯვების პარკში (მოქანდაკე გ. ოჩიაური, არქიტექტორი კ. ნახუცრიშვილი); ქვემოთ — გმირთა დიდების მემორიალი ქ. ფოთში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ვ. დავითაია).

**საქართველოს** ბოლოქამინდელი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა უთუოდ თბილისის, ისტორიულ უბნებში დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებია. ვერ ვიტყვით, თითქოს „ძველი თბილისის“ რომანტიკული ხიბლი დღევანდელობის აღმოჩენა იყოს, ანდა მისი დაცვის საჭიროებას ადრე არავინ ხვდებოდა. ჩვენი ქალაქის განუმეორებლობასა და მშვენიერებაზე ბევრ სწავლულსაც უწერია და ბევრ მგოსანსაც, მრავალი მხატვარი აღუფრთოვანებია მის სილამაზეს; არაერთგზის იყო საუბარი ძველის სამომავლოდ შენარჩუნების აუცილებლობაზეც,— გავიხსენოთ, თუნდაც, რა მგზნებარებით მოითხოვდნენ თბილისური ქუჩა-მოედნების გადარჩენას უახლესი ქართული მხატვრობის დიდი წამომწყებნი: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი.

და მაინც, ბოლო დრომდე საამისოდ ბევრი არაფერი გაკეთებულა. საქმე ის არის, რომ თბილისის ისტორიული ბირთვის საბოლოო „დაძველება“ დიდი გარდატეხის ხანას, 1920-40-იან წლებს დაემთხვა. ეს უდიდესი სოციალური ცვლილებების ეპოქაც იყო და ახალი საქალაქშენებლო-ხუროთმოძღვრული იდეების აღმოცენება-განვითარებისაც. არაა გასაკვირი, რომ ახლებური ცხოვრების, ახლებური ფუნქციური თუ მხატვრული მოთხოვნილებების შესაფერისი ქალაქის შექმნის მოსურნე ქართველ არქიტექტორებს ძველი განაშენიანების შენახვა მეორეხარისხოვნად ეჩვენებოდათ. 1930-იანი წლების პროექტების განხილვა გვიჩვენებს, რომ საქართველოს დედაქალაქის მომავალზე ფიქრისას ისინი ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას მის წარსულს. ასაშენებელი მაგისტრალები თუ მოედნები ნებისმიერადაა მონიშნული, აღღეგენ, შლიან ქალაქის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ სტრუქტურას. დამგეგმარებლებმა, რასაკვირველია, იცოდნენ თბილისში ისტორიულად მნიშვნელოვანი შენობების, ეკლესიების და საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა. პროექტები ითვალისწინებს კიდეც მათ დატოვებას, მაგრამ ხუროთმოძღვრების ძეგლები მხოლოდ ფიზიკურად იყო შენარჩუნებული, ახალ გარემოცვაში მოხვედრილთ, მათ აღარც თავდაპირველი მნიშვნელობა შერჩებოდათ და აღარც ქალაქის მთლიანობაში თავდაპირველი გამორჩეული ადგილი. საკმაო დრო იყო საჭირო იმის გასაცნობიერებლად, რომ ისტორიულად და მხატვრულად ღირებულია არა მარტო ცალკე აღებული რომელიმე ნაგებობა, არამედ მთლიანად ძველი ქალაქი, მისი თავისებურებისა და ერთადერთობის განმსაზღვრელი ყველა ელემენტი.

ამის გამო სწორედ, რომ ისტორიული ანსამბლების დაცვა-აღდგენა თბილისში ახლაღა იწყება. ამ მოკლე ხანში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა და კვლავაც — ამის იმედს ქალაქისა და რესპუბლიკის მესვეურთა ყოველმხრივი მხარდაჭერა გვაძლევს — კიდევ მეტი უნდა გაკეთდეს. ძველი უბნების რესტავრაციის დაწყებამ მრავალი თბილისელი და თბილისის მეგობარი გაახარა. მართლაც, იგი თამამად შეიძლება ისტორიული განაშენიანებისადმი დამოკიდებულების, ძველისა და თანამედროვის შეფარდების პრობლემის გადაწყვეტის ახალი საფეხურის ნიშანსვეტად მივიჩნიოთ. მაგრამ, თუმცა ეს საქმე ჩვენში ჯერაც უჩვეულო რამაა, აუცილებელი ჩანს უკვე მოპოვებულ შედეგებზე ახლავე გულდადინჯებით მსჯელობა, მათი ავ-კარგის აწონ-დაწონა. ეს მერმინდელი სამუშაოებისთვისაცაა საჭირო და იმიტომაც, რომ დედაქალაქის მაგალითი, უეჭველად, მისაბაძი გახდება საქართველოს სხვა ისტორიული ქალაქებისათვის.

ის სირთულენი, რომელსაც არქიტექტორები შენობათა მოზრდილი ჯგუფისთვის ძველებური იერის დაბრუნების ახალი ამოცანის გადაჭრისას წააწყდნენ, და მათ მიერ მიგნებული გზის ღირსებანაკლოვანებანი კარგად ჩანს ძველი თბილისის ღირსშესანიშნავი კუთხის, ანჩისხატის უბნის ნიმუშით. ჩვენ ვიცით, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი XVII-XVIII სს. და XIX ს. შუა ხანაში: მტკვრიდან ამოწყდილ დაბალ, მაგრამ ციცაბო კლდოვან ნაპირზე VI ს. ანჩისხატის ტაძარი აღმართულიყო, ირგვლივ კი სხვა ნაგებობანი იყო განლაგებული, თანაც ისე, რომ ბაზილიკის უპირატესი მნიშვნელობა არ დაირღვიათ (დომენტი კათალიკოსის სასახლე ამიტომ ფერდობზე ქვემოთ იყო ჩატანილი, სხვა შენობები კი მომცრო იყო და ეკლესიისგან მოშორებით იდგა). აღდგენითი სამუშაოების დაწყებისთვის სხვაგვარი სურათი გვქონდა — მიწის დონის აწევით ფერდობი უფრო დამრეცი გახდა, სანაპიროს მხრიდან ანჩისხატს უსახური ქოხმახები ეფარებოდა და ამისდა კვალად, იგი წინანდებურად წამყვანი აღარ ყოფილა. მოსალოდნელი იყო, რომ რესტავრაცია მას პირველობას ისევ დაუბრუნებდა. ნაწილობრივ ეს ასეც მოხდა: აღებულ იქნა ყოველგვარ ღირსებას მოკლებული შენობები ეკლესიის წინ და იგი სანაპიროდან კვლავ მთელი ტანით გამოჩნდა. მაგრამ, ამავე დროს, სანაპიროსა და ბაზილიკას შორის ძველი ფლატე-ნაპირის მაგიერის შექმნის სანაცვლოდ — იგი კი ეკლესიის გამოსაყოფად მეტად საჭირო იყო — რატომღაც ეცადნენ მიეჩქმალათ დონეთა სხვაობის შთაბეჭდილება. აქ ფართო, ერთმანეთში შეუმჩნეველად გარდამავალი ტერასები მოეწყო, რომელთა გასამართავად მიწაში ჩაფლული აღმოჩნდა დომენტი კათალიკოსის სასახლის სამუშაოთა მსვლელობაში აღმოჩენილი ქვედა სართულიც. თანაც, თუკი თავდაპირველი სახით აღდგა სახლი ტაძრის ეზოში და მის ჩრდილოეთით აგურით რიგიანად ნაშენი, ტერასულად გადაწყვეტილი რესტორანი „ქალაქური“, ანჩისხატის წარმოჩენას ხელს არ უშლის, სამხრეთით დადგმული „თბილისური წყლების“ მოზრდილმა მოცულობამ იგი მოსწორებული მოედნის კიდეზე ჩამწკრივებულ ნაგებობათა რიგის ჩვეულებრივ წევრად აქცია.

აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მათ წინაშე დასმული ამოცანა არქიტექტორებმა ბოლომდე სრულყოფილად ვერ დაძლიეს. ვფიქრობთ, ისინი მაინც უფრო ცალკეულ ნაგებობებს იცავენ ფიზიკურად, ვიდრე გარკვეულ ისტორიულ ანსამბლს. მართალია, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით არქიტექტორები ძეგლად ძველ საცხოვრებლებსაც თვლიან, მაგრამ ეს საქმეს არსებითად ვერ ცვლის—მაინც საჭირო იყო მეტი ზრუნვა ანსამბლის, როგორც მთელის, შემოსანახად, რადგან ერთგვარად დარღვეული აღმოჩნდა მისი პირვანდელი ხასიათი.

ამოცანის მსგავსმა გაურკვევლობამ პირველივე დიდი სამუშაოს, ბარათაშვილის ქუჩის აღდგენის დროს იჩინა თავი. XIX-XX სს. ხარისხით ჭრელი განაშენიანების მოსაწესრიგებლად არქიტექტორებმა ქუჩის ზედა ნაწილში ქალაქის ძველი ზღუდის გამოთავისუფლება გადაწყვიტეს, ქვემოთკენ კი, სადაც ეს ვერ მოხერხდა, დანგრეული შენობების ნაწილობრივ გამოყენებით „თბილისური“ სახლები იგო; ამას გარდა აშენდა ჭიშკარი, რომელიც თითქო შუა საუკუნეების კარიბჭის მაგვრობას უნდა სწევდეს, ზღუდის პირზე კი დატოვეს გალავნის საცხოვრებლებში ჩართვის შედეგად გაჩენილი XIX ს. ავენები. თავისთავად, ზღუდის გამომზეურება საკმაოდ მისაღები ხერხია.

გასაგებია, რომ XIX ს. ელემენტების დატოვებით აღმდგენელთ ისტორიული ცხოვრების სირთულის მიჩნევნება სურდათ. და მაინც ეს გადაწყვეტა ბოლომდე გამართული არ უნდა იყოს. ავენებშეკიდული კედელი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი მთლიანად ახლადაა მოპირკეთებული, არ აღიქმება ავენებდაშენებულ ძველ ზღუდად; იგი აღარც XIX ს. ქალაქს ეკუთვნის, რომელიც მის მიღმა და, მისგან მოწყვეტილი, ბარათაშვილის ქუჩის მეორე მხარის ახალი შენობების გადმოცმა გრძელდება; იგი მხოლოდ ქუჩისპირა განაშენიანებად იკითხება. ასეთი ქუჩა კი, უზარმაზარ სიბრტყეზე ჩარიგებული ავენებით თბილისში არსად არის. ასე იმიტომ მოხდა, რომ „ფასადზე“ წინათ ეზოებში მოქცეული ავენებია მოხვედრილი, ნაკლებადაა აქაც დაცული თბილისური უბნისათვის ნიშანდობლივი სახე. საგულისხმოა ისიც, რომ სავსებით პირობითი კარიბჭის ასაგებად დაინგრა სახლები ნ. ნაკაშიძის ქუჩაზე, რამაც იქ გაუგებარი სიცარიელე წარმოშვა.

თბილისში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებისათვის მეტად დამახასიათებელია ზემოხსენებული ახალი „თბილისური“ სახლები და ზღუდეზე ძველების გვერდი-გვერდ შეკიდული ახალიც „თბილისური“ ავენები. ერთგვარ ეეჭვს უკვე ახალ მოცულობათა სიმრავლე იწვევს. ეგებ უკეთესი იქნებოდა გამოხშირვა უფრო ფრთხილად მაგალითია სახლი კიბალჩიჩის აღმართის ბოლოს, კბოდის პირას, სადაც აივნის დასამაგრებლად საგანგებო კედლის ამოყვანა დასჭირდათ. ძველი თბილისის ხუროთმოძღვრება არც აივნების განთავსების აღმდგენელ არქიტექტორთათვის მეტად საყვარელ ხერხებს იცნობს: ვერსად შეხვდებით სახლის კიდისკენ ასიმეტრიულად გადაადგილებას ან მრავალსართუნლიანი აივნის ქვედა სართულის დამოკლებას (ასეთი რამ მხოლოდ გარეშე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგ., რელიეფის სიმაღლეთ). აშკარაა, რაც შეიძლება ეფექტური ფორმის შერჩევის სურვილიც — ასე, მაგ., კიბალჩიჩის აღმართის თავზე გადმოკიდებული სახლების. ძველი ფოტოსურათებით დადასტურებული, სადა აივნები უფრო დეკორაციული სამყურათაღიანითა და დაჭრილებულით შეცვალეს. ჭარბი დეკორაციულობისკენ სწრაფვა აღმდგენელთ ხან არატიპიურ ფორმას ქმნევინებს (ასეთია თუნდაც მარიონეტების თეატრის „ორმაგი“ ან თბილისის ტურისტული ბიუროს შენობის — მეტეხის პირისპირ ახალი აივანი), ან ეკლექტიკისკენ უბიძგებს მათ. ამ უკანასკნელის მაგალითია ბავშვთა ხელოვნების კიბალჩიჩის ბოლოს, ალბერ ბერიძის ქუჩის ბოლოს, ბ. ნიჟარაძის ბაღში, ბ. ქუთათელაძისა და მ. მალაზონიას შემოქმედება, ჩვენი დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ძალზე შთამბეჭდავ და მნიშვნელოვან მოვლენებად იქცნენ.

გამოფენებმა მთელი სისავსით წარმოაჩინეს ამ შესანიშნავ ხელოვანთა ნიჭის წახნაგები, მაღალი ოსტატობა, შემოქმედებითი შესაძლებლობები. მაყურებელთა მეხსიერებაში კიდევ ერთხელ გააცოცხლეს, გააღრმავეს და დაუბუსტეს დიდი ხნის წინ ამა თუ იმ ნამუშევრით მიღებული შთაბეჭდილება, ახალ თვისობრივ ხარისხში აიყვანეს ამ ნაწარმოებთა ხილვით გამოწვეული ემოციები. თითოეული ეს გამოფენა ამ შესანიშნავ მხატვართა „სულის უშეღავათო ქმედობის ნიმუში“ გახლდათ.

მთელი თავისი მომხიბვლელობით აელვარდა ზ. ნიჟარაძის ხელოვნება. მის მიერ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ზოგადი მშვენიერების ძიებით შექმნილი სამყარო დახვეწილი ესთეტის სამყაროა, რომელიც გატყვევებთ თავისი ნატიფი ფერადოვნებით და თქვენ სულს მუსიკის უნაზესი პანგებით ავსებს.

ზ. ნიჟარაძე ფართოდ ერუდირებული, ღრმად მოაზროვნე ხელოვანია, რომლის არტისტული არსებაში თავი მოიყარა მსოფლიოს სახვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ. უკვე არსებულ, ჩამოყალიბებულ მხატვრულ კონსტრუქციებს იგი იყენებს საკუთარი სტილისტური სისტემის საშენ მასალად. ახალ-ახალ მხატვრულ თუ ტექნოლოგიურ ამოცანათა დაყენებითა და გადაწყვეტით განავითარებს ამ სისტემას, ახალ თვისობრივ საფეხურზე აჰყავს იგი.

ზ. ნიჟარაძე ნახატის შესანიშნავი ოსტატია. იგი გრძნობს ხაზის უდიდეს პლასტიკურ შესაძლებლობებს და ოსტატურად იყენებს მას სხეულის მოძრაობისა და მოცულობის გადმოცემისას. მაგრამ მთავარი მის შემოქმედებაში მაინც ფერია. უმთავრეს ყურადღებას იგი ფერწერის სპეციფიკურ ღირებულებათა ფენომენს ანიჭებს. მისთვის შემოქმედება „ზეიმია უსულო მასალის გაცოცხლებისა“.

ერთგვარად მოულოდნელი და ჩვენი გამოფენებისათვის უჩვეულო სიახლის შემცველი იყო გ. მესხიშვილის ნამუშევრთა პერსონალური გამოფენა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა საკუთრივ თეატრალურ დეკორაციათა ესკიზები. ექსპოზიციის უდიდესი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ფერწერულ ნამუშევრებს და კოლაჟის ტექნიკით შესრულებულ კომპოზიციებს, ამ კოლაჟებში გამომჟღავნდა მხატვრის ნიჭის არტისტიზმი და შემოქმედებითი თავისებურება. კოლაჟების ნაწილი წარმოადგენდა კომპოზიციებს გ. მესხიშვილის მიერ გაფორმებული სპექტაკლების მოტივებზე და აქ ხორცს ისხამდა მხატვრის აზრი, მისი დამოკიდებულება დრამატული ნაწარმოების მიმართ. უშუალოდ მხატვრის მსოფლმხედველობას კი ავლენდნენ ის კოლაჟური კომპოზიციები, რომელთა თემა თვით გ. მესხიშვილმა შეარჩია.

ფერწერულ შემოქმედებაში გ. მესხიშვილი, ზ. ნიჟარაძის მსგავსად, ოღონდ სხვა მხატვრული ხარისხით მიისწრაფვის ფერისა და მასალის გამომსახველობის ზედმიწევნითი წარმოჩენისაკენ და უგულებელჰყოფს სიუჟეტური გამომსახველობის მომენტს.

„უსულო მასალის გაცოცხლების ზეიმად“ ჰქონდა გაჯერებული ფერწერა გ. ქუთათელაძესაც, რომლის გამოფენა მისი მხატვრული ნიჭისა და, მასთან ერთად, ადამიანური, მოქალაქეობრივი თვისებების ახალ, მანამდე უცნობ ხახნაგთა აღმოჩენა იყო, და არა მარტო ფართო მაყურებლისათვის, არამედ მისი კოლეგებისა და სპეციალისტებისთვისაც. გ. ქუთათელაძე „წმინდა ფერწერის კატეგორიებში“ მოაზროვნე მხატვარია, რომელიც მხოლოდ ფერწერის ენაზე ამბობს თავის სათქმელს და ამ ენის საშუალებით ცდილობს მიგვაახლოვოს ყოფიერების ულრმეს საიდუმლოებებთან. ამიტომაც თითოეული ფერი, ფუნჯის თითოეული მონასმი ხანგრძლივი ფიქრის შედეგია და გარკვეული აზრის, იდეის, კონცეფციის მატარებელია.

სრულიად განსხვავებული და ძალზე თვითმყოფადი სამყარო გადაიშალა მ. მალაზონიას ნამუშევართა გამოფენაზე. ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ილუსტრაციებში თუ სპექტაკლების დეკორაციათა ესკიზებში იგრძნობა, რომ შემოქმედს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნულ მხატვრულ ტრადიციაში, ამ მემკვიდრეობის მხატვრულ მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისება და გათავისება მ. მალაზონიას შემოქმედებაში ხორციელდება დიდი ტალტით, ზომიერების გრძნობით.

კიდევ ერთი მეტად საინტერესო მხატვრული მოვლენის მოწმენი გახდნენ ჩვენი დედაქალაქის სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. ქართული სცენოგრაფიული სკოლის უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის — დიმიტრი თავაძის ნამუშევართა ვრცელმა პერსონალურმა გამოფენამ ასახა არა მარტო ამ მხატვრის შემოქმედებით ძიებათა გზა, არამედ ის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, ნახევარი საუკუნის მანძილზე, ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში რომ მიმდინარეობდა.

უპირველესი, რაც აახლოვებს ამ განსხვავებული ხელწერის, ტემპერმენტის, მსოფლშეგრძნებისა და მხატვრული ინტერესების ხელოვანთა შემოქმედებას, არის აზროვნება წმინდა სახვითი ხელოვნების კატეგორიებით. თითოეულს მათგანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასალის სპეციფიკას, რომლის საშუალებითაც ისინი ვიზუალურ სახეებში გამოხატავენ თავიანთ განცდებსა და იდეებს. თითოეული მათგანის შემოქმედება ხელოვნების უანგარო, უკომპრომისო და თავდადებული მსახურებაა.

**მარინე კერესელიძე.**

# ქართული მხატვრობის დღესასწაული

**უკანასკნელი** ორი წლის მანძილზე თბილისის საზოგადოება მომსწრე გახდა იმ დიდი დღესასწაულებისა, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრას რომ მოაქვს: ჯერ „მხატვრის სახლის“ საგამოფენო დარბაზებში, შემდეგ კი სურათების სახელმწიფო გალერეაში მოწყობილი ვერნისაჟები, რომლებმაც ფართო მაყურებელს წარმოუდგინეს გ. ალექსი-მესხიშვილის, ზ. ნიჟარაძის, გ. ქუთათელაძისა და მ. მალაზონიას შემოქმედება, ჩვენი დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ძალზე შთამბეჭდავ და მნიშვნელოვან მოვლენებად იქცნენ.

გამოფენებმა მთელი სისავსით წარმოაჩინეს ამ შესანიშნავ ხელოვანთა ნიჭის წახნაგები, მაღალი ოსტატობა, შემოქმედებითი შესაძლებლობები. მაყურებელთა მეხსიერებაში კიდევ ერთხელ გააცოცხლეს, გააღრმავეს და დაუბუსტეს დიდი ხნის წინ ამა თუ იმ ნამუშევრით მიღებული შთაბეჭდილება, ახალ თვისობრივ ხარისხში აიყვანეს ამ ნაწარმოებთა ხილვით გამოწვეული ემოციები. თითოეული ეს გამოფენა ამ შესანიშნავ მხატვართა „სულის უშეღავათო ქმედობის ნიმუში“ გახლდათ.

მთელი თავისი მომხიბვლელობით აელვარდა ზ. ნიჟარაძის ხელოვნება. მის მიერ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ზოგადი მშვენიერების ძიებით შექმნილი სამყარო დახვეწილი ესთეტის სამყაროა, რომელიც გატყვევებთ თავისი ნატიფი ფერადოვნებით და თქვენ სულს მუსიკის უნაზესი პანგებით ავსებს.

ზ. ნიჟარაძე ფართოდ ერუდირებული, ღრმად მოაზროვნე ხელოვანია, რომლის არტისტული არსებაში თავი მოიყარა მსოფლიოს სახვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ. უკვე არსებულ, ჩამოყალიბებულ მხატვრულ კონსტრუქციებს იგი იყენებს საკუთარი სტილისტური სისტემის საშენ მასალად. ახალ-ახალ მხატვრულ თუ ტექნოლოგიურ ამოცანათა დაყენებითა და გადაწყვეტით განავითარებს ამ სისტემას, ახალ თვისობრივ საფეხურზე აჰყავს იგი.

ზ. ნიჟარაძე ნახატის შესანიშნავი ოსტატია. იგი გრძნობს ხაზის უდიდეს პლასტიკურ შესაძლებლობებს და ოსტატურად იყენებს მას სხეულის მოძრაობისა და მოცულობის გადმოცემისას. მაგრამ მთავარი მის შემოქმედებაში მაინც ფერია. უმთავრეს ყურადღებას იგი ფერწერის სპეციფიკურ ღირებულებათა ფენომენს ანიჭებს. მისთვის შემოქმედება „ზეიმია უსულო მასალის გაცოცხლებისა“.

ერთგვარად მოულოდნელი და ჩვენი გამოფენებისათვის უჩვეულო სიახლის შემცველი იყო გ. მესხიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა საკუთრივ თეატრალურ დეკორაციათა ესკიზები. ექსპოზიციის უდიდესი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ფერწერულ ნამუშევრებს და კოლაჟის ტექნიკით შესრულებულ კომპოზიციებს, ამ კოლაჟებში გამომჟღავნდა მხატვრის ნიჭის არტისტიზმი და შემოქმედებითი თავისებურება. კოლაჟების ნაწილი წარმოადგენდა კომპოზიციებს გ. მესხიშვილის მიერ გაფორმებული სპექტაკლების მოტივებზე და აქ ხორცს ისხამდა მხატვრის აზრი, მისი დამოკიდებულება დრამატული ნაწარმოების მიმართ. უშუალოდ მხატვრის მსოფლმხედველობას კი ავლენდნენ ის კოლაჟური კომპოზიციები, რომელთა თემა თვით გ. მესხიშვილმა შეარჩია.

ფერწერულ შემოქმედებაში გ. მესხიშვილი, ზ. ნიჟარაძის მსგავსად, ოღონდ სხვა მხატვრული ხარისხით მიისწრაფვის ფერისა და მასალის გამომსახველობის ზედმიწევნითი წარმოჩენისაკენ და უგულებელჰყოფს სიუჟეტური გამომსახველობის მომენტს.

„უსულო მასალის გაცოცხლების ზეიმად“ ჰქონდა გაჯერებული ფერწერა გ. ქუთათელაძესაც, რომლის გამოფენა მისი მხატვრული ნიჭისა და, მასთან ერთად, ადამიანური, მოქალაქეობრივი თვისებების ახალ, მანამდე უცნობ ხახნაგთა აღმოჩენა იყო, და არა მარტო ფართო მაყურებლისათვის, არამედ მისი კოლეგებისა და სპეციალისტებისთვისაც. გ. ქუთათელაძე „წმინდა ფერწერის კატეგორიებში“ მოაზროვნე მხატვარია, რომელიც მხოლოდ ფერწერის ენაზე ამბობს თავის სათქმელს და ამ ენის საშუალებით ცდილობს მიგვაახლოვოს ყოფიერების ულრმეს საიდუმლოებებთან. ამიტომაც თითოეული ფერი, ფუნჯის თითოეული მონასმი ხანგრძლივი ფიქრის შედეგია და გარკვეული აზრის, იდეის, კონცეფციის მატარებელია.

სრულიად განსხვავებული და ძალზე თვითმყოფადი სამყარო გადაიშალა მ. მალაზონიას ნამუშევართა გამოფენაზე. ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ილუსტრაციებში თუ სპექტაკლების დეკორაციათა ესკიზებში იგრძნობა, რომ შემოქმედს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნულ მხატვრულ ტრადიციაში, ამ მემკვიდრეობის მხატვრულ მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისება და გათავისება მ. მალაზონიას შემოქმედებაში ხორციელდება დიდი ტალტით, ზომიერების გრძნობით.

კიდევ ერთი მეტად საინტერესო მხატვრული მოვლენის მოწმენი გახდნენ ჩვენი დედაქალაქის სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. ქართული სცენოგრაფიული სკოლის უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის — დიმიტრი თავაძის ნამუშევართა ვრცელმა პერსონალურმა გამოფენამ ასახა არა მარტო ამ მხატვრის შემოქმედებით ძიებათა გზა, არამედ ის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები, ნახევარი საუკუნის მანძილზე, ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში რომ მიმდინარეობდა.

უპირველესი, რაც აახლოვებს ამ განსხვავებული ხელწერის, ტემპერმენტის, მსოფლშეგრძნებისა და მხატვრული ინტერესების ხელოვანთა შემოქმედებას, არის აზროვნება წმინდა სახვითი ხელოვნების კატეგორიებით. თითოეულს მათგანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასალის სპეციფიკას, რომლის საშუალებითაც ისინი ვიზუალურ სახეებში გამოხატავენ თავიანთ განცდებსა და იდეებს. თითოეული მათგანის შემოქმედება ხელოვნების უანგარო, უკომპრომისო და თავდადებული მსახურებაა.

**მარინე კერესელიძე.**

# ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე

ამპას წინათ სურათების გალერეაში გამართულმა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენამ მრავალი იმგვარი საკითხი აღძრა, რომელიც სცილდება ამ კონკრეტული ექსპოზიციის პრობლემატიკას.

ახალგაზრდების არაერთ ნამუშევარში ჩანდა დამამული ამოცანისა და შედეგის გარკვეული შესატყვისობა, პიროვნების განწყობილების მეტ-ნაკლება გამოხატვა მახალით, ზოგჯერ ერთგვარი ექსპერიმენტულობაც, რაც ნიშანდობლივია ახალგაზრდული გამოფენის სულისკვეთებისათვის. სახიამოვნო იყო, რომ ზოგჯერ მხატვრები ცდილობდნენ საკუთარი კომპოზიცია დამაკერებლად, საყმარისი სიმკვეთრითაც გამოეხატათ. ცხადია, შემდგომში ამგვარი სითამამე უნდა დაეფუძნოს ღრმა პროფესიონალიზმს.

გამოფენაზე წარმოდგენილ რიგ ნაწარმოებთა ღირსებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ახალგაზრდობის ნაწილი უკვე დაინტერესებულია არა მხოლოდ მხატვრული ფორმის გამდიდრებით ჩვეული წარმოდგენების ვიწრო „რკალში", არამედ უფრო მომცველი ამოცანებით — იგი ცდილობს, რომ ნამუშევრებში ჩანდეს ასოციაციური სიმდიდრე, მრავალმნიშვნელოვანება, პრობლემურობა და, რაც უმთავრესია, თვითგამოხატვის სიწრფელე, სულიერი სიღრმე. ბევრი მათგანი ცდილობს შექმნას ინდივიდუალური მხატვრული სამყარო.

გამოფენის მრავალფეროვნებას ძიებათა სხვადასხვაობა განსაზღვრავდა. ყოველი მხატვარი, ცხადია, ცდილობს განუმეორებელი მხატვრული ენის შემუშავებას, მაგრამ ეს გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას აქვს შინაგანი საფუძველი და არ ატარებს თვითმიზნურ ხასიათს. გამოფენაზე, ზემოალნიშნულთან კავშირში, ნაკლებად გამოვლინდა მიმართულების ერთიანობა (ეს, ჩანს, დროის ნიშანია), მეღლავნდებოდა მკვეთრად განსხვავებული პრიციპები. ეს თუ ზოგჯერ მხატვრის ორგანული ინტერესის შედეგი იყო, სხვა შემთხვევაში [ სიღრმეს მოკლებულიც ჩანდა.

კრიტიკული ანალიზის დროს ვერავინ უარყოფს, რომ ახლანდელი თაობა რთული ამოცანების წინაშე დგას. სადღეისოდ ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის სულიერ ინტერესთა სფეროც და მოთხოვნილებათა დიაპაზონიც თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამას უამრავი სიძნელეც მოჰყვა და ზოგჯერ დაბნეულობაც კი. იქნებ რამდენადმე ამის გამოც ახალ თაობას თითქოს „ოდნავ აკლია მუტი, თვითდამკვიდრების უნარი, მაგრამ მას აწუხებს საკუთარი, თავსატეხი პრობლემები, მომდინარე თანამედროვე მხატვრული ცხოვრების უაღრესი გართულებიდან და ჭარბი ინფორმაციიდან, ან მიმართულებებისა და „მოდელების" არა მხოლოდ სახვითი დიფერენციაციიდან, არა მხოლოდ სახვით ხელოვნებაში, არამედ საერთოდ სულიერ ცხოვრებაში. აქედან არაიშვიათად მომდინარეობს ერთგვარი ხტილური „აღრევაც", მაგრამ აქვე გვაქვს ისეთი მონაპოვარიც, რომელიც იწვევს ინტერესს და გამოწვლილვით ანალიზს მოიმოხოვს. საჭიროა გარკვევა მრავალი ნაწარმოების ღირსებაში.

სწორედ აქ დგება საკითხი „მეორადი ინფორმაციისა", რაც ასე ახასიათებს თანამედროვე ცივილიზაციას და ძალზე საყურადღებოა, კერძოდ, მხატვრობისათვის. აღნიშნულ გამოფენაზეც ეს ჩანს იმაში, რომ „ცივილიზაციისშიერი" ინფორმაცია (მომდინარე სხვადასხვა, ზოგჯერ ყურმოკრული წყაროებიდან) ხშირად ჭარბობს პიროვნების საკუთარი სულიერი გამოცდილების გამოხატვას. მხატვრებს ავიწყდებათ, რომ მხატვრობა როდია მხოლოდ მასალასთან ურთიერთობა, რომ იგი არის, უპირველესად, პიროვნების ურთულესი სიღრმეების მასალაში გაცხადება. ძალიან ბევრგან ჩანს „სხვისი" პრობლემები, უმეტესად სუსტია ეროვნული წიაღიდან მომდინარე (ცხადია, აქ მარტივად გააზრებულ ეროვნულ საწყისს არ ვგულისხმობთ) და თვით ბუნების, ამ პირველწყაროს აღქმიდან და შინაგანი განცდილიდან წარმომქმნილი მუტი და სიხალასე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბუნების დამოწყობა აქსიომაა მხატვრისათვის, რომ სწორედ ბუნებამ მიწა უზარმაზარი ოსტატი, მაგალითად, ეს კი იმის გამო ხდება, რომ ზშირად მხატვრებს უჭირთ საკუთარი „წიაღიდან" შემოქმედებითი იმპულსის მიღება, რაც მათი სულიერი ცხოვრების პასიურობით უნდა აიხსნას. ყოველივე ამის გამო კი კვლავ იწყება საზრდოობა „მეორადი ინფორმაციით", რაც, ცხადია, ვერ შეცვლის საკუთარი არსებით განცდილს. ამიტომაც, ვალიქროთ, სიწრფელე სჭირს გამოგონილს, დროებითი გატაცების შედეგს. ახალგაზრდობამ კითხვები საკუთარ თავს უნდა დაუსვას და მასვე მოსთხოვოს პასუხი.

როცა ამგვარ მოვლენებს კრიტიკულად ვაანალიზებთ, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ორი განსხვავებული ტენდენცია: ერთი მიღწეულისაგან დამოუკიდებლად — შინაგანი აუცილებლობიდან მომდინარეა, ხოლო მეორე — ვიყოთ გულახდილნი — უფრო გულგრილობის შედეგია. „მომგებიან", აპრობირებულ თემებს შეკედლება მხატვრულ ღირსებას თავისთავად ვერ შექმნის. მხოლოდ „გამოფენისათვის" შექმნილი სურათი სახელოსნოს დაკვეთ კაკაბაძეს, თითქოს „აიძულა" იგი შეექმნა სინთეზური ხელოვნება, რომელშიც ბუნების შინაგანად განცდილი ხატი იქცა სამყაროს ახსტრაჰირებულ მოდელად. დღეს კი ახალგაზრდებთან ხშირად ორ უკიდურესობას ვხედავთ: ან ბუნების ზოგჯერ პრიმიტიულ, ემპირიულ გამოსახვას, რომელშიც ნაკლებად ჩანს მხატვრის ნებელობა, ანდა მასთან კონტაქტის დაკარგვის ხარჯზე — ფსევდოინტელექტურ, ზერელე და პრეტენზიულ სურათებს. შეინიშნება ორგვარი უკიდურესობაც: ან „ევროპული" მონაპოვარის ვითომცდა სრულყოფილი ფლობა, ან ფსევდოეროვნულის უალბი წარმოჩენა. ორივე, ვფიქრობთ, პროვინციალიზმის გამოხატულებაა.

# ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე

ეს ეს ეროვნული ფესვებიანობა, ეროვნული ტრადიციებიანობა, ეროვნული ენა, ეროვნული ფერადოვნება, ეროვნული ფორმა, ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...